საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 8134/01
25/08/2020

8134-01-2-202008251705

ინდივიდუალურ მეწარმე გივი ძაგანიას
მის: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, მე-5 კვარტალი, 24-ე კორპ, ბ. N40

თქვენი 2020 წლის 2 ივლისის N9999 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ინდ. მეწარმე გივი ძაგანიას პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არ არის მოცემული სკოპინგის დასკვნით (N46 28.05.2020; ბრძანება N2-443 29.05.2020) გათვალისწინებული შემდეგი ინფორმაცია:

- დასამუშავებელად მიღებული ნარჩენების კოდი და დასახელება ,,სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების შესაბამისად;
- დასამუშავებელად გათვალისწინებული ნარჩენების წარმოშობა;
- ნარჩენების დამუშავების (აღდგენის ან განთავსების) ოპერაციების კოდები და აღწერილობა ,,ნარჩენების მართვის კოდექსის“ (I ან II დანართის) შესაბამისად;

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას. გთხოვთ, 1 თვის ვადაში უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044